

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 4

ქ. თბილისი

24.01.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ -- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რამაზ ბოჭორიშვილი - პროფესორი;

მაგდა ალანია - ზოგად საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მალხაზ ბაკურაძე - ასოცირებული პროფესორი;

ანა ჟორჟოლიანი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

უშანგი გოგინავა - პროფესორი.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო ხაბეიშვილი - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო იმნაძე - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;

ნინო ჩაჩავა - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გოჩა მიქიაშვილი - დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ შავიშვილი - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- გიორგი ხიმშიაშვილი
- ანზორ ბერიძე
- გიორგი დალაქიშვილი
- გიორგი გიორგობიანი
- ლექსო თორიაშვილი
- ნანა იაშვილი
- ია კუპატაძე
- ირაკლი ჟვანია


საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის მათემატიკაში აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.




სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგიდან მოხსნილიყო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა, დაწესებულების თხოვნით. წარმოდგენილი შუამდგომლობა საბჭოს წევრებმაც გაიზიარეს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის მათემატიკაში აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი



1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის მათემატიკაში აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში
განათლების საფეხური	მესამე საფეხური, დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. განსახილველი საკითხის მიმართ თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ აკრედიტაციის ექსპერტებს სთხოვა სხდომაზე წარმოედგინათ დასკვნაში ასახული გარემოებების მოკლე მიმოხილვა.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამასთან მიმართებაში ექსპერტებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც პროგრამაში საერთაშორისო თანახელმძღვანელის ინტეგრირებას ეხებოდა. ექსპერტთა აზრით, საგანმანათლებლო პროგრამაში სულ მცირე, პროგრამის სადოქტორო დაცვის კომპონენტში, საერთაშორისო არბიტრის მონაწილეობა რეგულარულ დონეზე უნდა ყოფილიყო დანერგილი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამა შემუშავებული იყო „ფოლკსვაგენის“ გრანტის ფარგლებში, შესაბამისად პროგრამას გააჩნდა საბიუჯეტო რესურსები იმისა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული ყოფილიყო და მოწვეული ყოფილიყო უცხოელი ხელმძღვანელი ან ექსპერტი.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა პროგრამა და რატომ ხორციელდებოდა იგი ინგლისურად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაციიდან გამომდინარე, იგი შემუშავდა ინგლისურად, სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებდა იმას, რომ პროგრამა ინგლისურად აპირებდა საქმიანობის გაგრძელებას. გარდა ამისა, მისი განცხადებით, პროგრამაში აუცილებელი იყო საერთაშორისო პუბლიკაციების არსებობა და აღნიშნული პუბლიკაციები მხოლოდ უცხოურ ენაზე იწერებოდა.

წარმომადგენლის განცხადებით, მისაღები ადგილების რაოდენობა განსაზღვრული იყო 10 სტუდენტისთვის. აღნიშნული რაოდენობა გამომდინარეობდა იქიდან, რომ სტუდენტთა საქმიანობის თითქმის ნახევარი დრო გამოყოფილი იყო უცხოელ ხელმძღვანელთან სამუშაოდ, სადაც ისინი ისწავლიდნენ და სასემინარო პრაქტიკას გაივლიდნენ, შესაბამისად ხარჯებიდან გამომდინარე ამ ეტაპისათვის პროგრამა 10 სტუდენტზე მეტის მიღებას ვერ შეძლებდა. პროგრამის მესვეურები ასევე აპირებდნენ უცხოელი სტუდენტების მოზიდვას.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა პროგრამისათვის გამოყოფილი გრანტის ხანგრძლივობით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გამოყოფილი გრანტის ხანგრძლივობა იყო ოთხი წელი, თუმცა ალბათობა იმისა, რომ „ფოლკსვაგენის“ დაფინანსება მეხუთე სასწავლო წელსაც გაგრძელდებოდა, საკმაოდ დიდი იყო.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, საკმარისი იყო თუ არა პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ხელმძღვანელის და რეცენზენტის მოწვევისთვის, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნაშრომის შესახებ დასკვნას დაწერდა უცხოელი ექსპერტი და იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად მოწვეულ ხელმძღვანელს ვერ გასწვდებოდა, მოხდებოდა ტექნოლოგიების გამოყენება და ე.წ დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებით, ნაშრომის შესახებ შეფასებას უცხოელი ექსპერტი მოახდენდა იმ ლოკაციაზე, სადაც იგი იმყოფებოდა და დაცვის პერიოდში შესაძლებელი იქნებოდა მისი „სკაიპით“ ჩართვა.

საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ იკითხა, იყო თუ არა გათვალისწინებული პროგრამაში დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა დაყოფილი იყო სამ ბლოკად, სწავლების მესამე ბლოკში პროფესორის ასისტენტობა იყო სავალდებულო კომპონენტი, რაც საბოლოო ჯამში კრედიტებად ჩაეთვლებოდა სტუდენტს.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა პროგრამის სახელწოდებით და იკითხა, რატომ ფიგურირებდა მასში სიტყვა „საერთაშორისო“.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა უცხოელი ხელმძღვანელი და ასევე მისი ხასიათიდან გამომდინარე, პროგრამა სრულიად ამართლებდა სახელწოდებას.

პაატა ბრეკაშვილი ასევე დაინტერესდა, რა იყო ის კრიტერიუმები, რომლებიც აპლიკანტს უნდა დაეკმაყოფილებინა პროგრამაზე მიღების მეოთხე კომპონენტში. მან იკითხა, უნდა შეეთანხმებინა თუ არა აპლიკანტს წინასწარ თემა პროგრამის ხელმძღვანელთან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აპლიკანტს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და სურდა მიღების მეოთხე კომპონენტის წარმატებით დახურვა, პირველ რიგში უნდა მოეძებნა აკადემიური

ხელმძღვანელი და შემდეგ წარმოდგინა საბუთები, სადაც დარგში დაინტერესების სფეროს იდეაც მოცული იქნებოდა.

პაატა ბრეკაშვილმა ჰკითხა პროგრამის ხელმძღვანელს, ხომ არ აჯობებდა პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები ყოფილიყო მხოლოდ სამი და მოცემული მეოთხე, ქვეკრიტერიუმად გადასულიყო.

ასევე, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არსებული საგნებიდან არც ერთ მათგანს არ ჰქონდა პრე-რეკვიზიტი და იკითხა თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო აღნიშნული სტუდენტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგნებს პრე-რეკვიზიტი არ სჭირდებოდა, რადგან პროგრამა იყო სრულიად კვლევითი და ყველაზე დიდი კომპონენტი კვლევით საქმიანობას ეფუძნებოდა.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში არსებული სილაბუსები ამ ეტაპისთვის მოითხოვდა უფრო მეტ დეტალიზირებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო სწავლის მეთოდები და მიზნები. იგი დაინტერესდა, დაკონკრეტდებოდა თუ არა ყოველივე მას შემდეგ, რაც სტუდენტი სწავლას გააგრძელებდა აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტუდენტებისთვის ყველაფერი დაკონკრეტდებოდა და დიდი ალბათობით, დეტალურად გაიწერებოდა.

საბჭოს წევრის დიმიტრი ჯაფარიძის აზრით, პროგრამა საკმაოდ ფასეული იყო, რადგან იგი საერთაშორისო პროგრამის სტატუსს ატარებდა. იგი დაინტერესდა, გულისხმობდა თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ სტუდენტს დაცვა შეეძლო როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ორიენტირებული იქნებოდა ორმაგი ხარისხის მინიჭებაზე, ერთობლივ შეთანხმებაში დეტალურად იყო გაწერილი სტუდენტის მიერ დაცვის ხარისხიც და ადგილიც. მისი თქმით, ყოველივე დაცვასთან დაკავშირებული განსაზღვრული იყო აღნიშნული ხელშეკრულებით და სწორედ იქ ხდებოდა კონკრეტიზაცია ორმაგ ხარისხთან დაკავშირებითაც.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რა გეგმები ჰქონდათ პროგრამის მესვეურებს იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამას დაფინანსება შეუწყდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაფინანსების დასრულების შემდგომ, მათ ეყოლებოდათ ადამიანური რესურსი, კურსდამთავრებულები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა იმისა, რომ პროგრამას მუშაობა გაეგრძელებინა, ასევე, მათი თქმით, დაწესებულება მზად იყო ხელი შეეწყო პროგრამისთვის სამომავლოდ.

ელიზბარ ელიზბარაშვილი ასევე დაინტერესდა, რაში გამოიხატებოდა პროგრამაში უცხოელების ჩართულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის შექმნა იყო მეორე მცდელობა „გოტინგენის“ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის. კოლაბორაცია გამოიხატებოდა იმაში, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სტუდენტებს შეეძლებოდათ კრედიტები დაეგროვებინათ სხვადასხვა საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის მიღებით. გარდა ამისა, მათი თქმით, პროგრამის შემუშავება-დაგეგმვაში მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი ექსპერტებიც.

საბჭოს სხდომაზე 16:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭო სხდომა განახლდა 16:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისთვის მათემატიკაში აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამას მათემატიკაში 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16:22 საათზე საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული შემოუერთდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გაუძღვა საბჭოს.

16:30 საათზე გაიანე სიმონიამ დატოვა საბჭოს სხდომა.



2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქიტექტურის ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სამმა წევრმა, გიორგი ქვარცხავამ, ირინა გოცირიძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადეს თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ამავდროულად ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსს მაია გელაშვილს მოეხდინა საერთაშორისო ექსპერტთან საუბრის ტექნიკური უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ექსპერტის აზრით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა განხორციელების პოტენციალი, თუმცა არსებობდა ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო.

კერძოდ, აუცილებელი იყო შეფასების სისტემის შეცვლა, რადგან ის იყო გაუმჭვირვალე და არარეალისტური. აღნიშნული მდგომარეობა იმაში, რომ ყველა საგანი

ყოველ კვირას ფასდებოდა. მისი აზრით, შეუძლებელი იყო ყველა პროფესორს, ყველა სტუდენტი ასეთი ინტენსივობით შეეფასებინა.

შემდეგი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ აღნიშნული პროგრამა უფრო მეტად ფოკუსირებული იყო დიზაინსა და გრაფიკული უნარების განვითარებაზე ვიდრე ინჟინერიასა და არქიტექტურის ტექნოლოგიურ ასპექტებზე. ექსპერტის აზრით, აღნიშნული შესაძლოა არ ყოფილიყო პროფესიულად მისაღები.

უცხოელი ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ინგლისური ენის დონე იყო საკმაოდ დაბალი. მისი თქმით, ეს უკანასკნელი ვიზიტის დროს გამოჩნდა, როგორც სტუდენტებთან საუბრის, ასევე აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს. მისი თქმით, დაწესებულებას უნდა დაემტკიცებინა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი მზად იყო ინგლისურენოვანი პროგრამის ამუშავებისთვის. აღნიშნული ეხებოდა არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ ადმინისტრაციულ პერსონალსაც.

საერთაშორისო ექსპერტის განცხადებით, შემდეგი პრობლემა მდგომარეობდა პროგრამისათვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურაში. მისი თქმით, ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ აპირებდნენ 60 სტუდენტის მიღებას. ექსპერტმა შეფასებით, ის აუდიტორიები, რომლებიც მათ ნახეს, განკუთვნილი იყო მხოლოდ 15-20 სტუდენტისთვის და ისინი სტანდარტს ვერ ერგებოდა. ზოგიერთ სასწავლო აუდიტორიას არ გააჩნდა ფანჯარა და ვინაიდან აღნიშნული პროგრამა იყო საერთაშორისო და უცხოენოვანი, მას უნდა დაეკმაყოფილებინა მინიმალური სტანდარტები მინიმალურ დონეზე მაინც.

ასევე, ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იყო ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს აღნიშნული გამოსწორდა და შემდგომ დოკუმენტების თარგმანები გაეგზავნათ ექსპერტებს, აუცილებელი იყო, ისევ პროგრამის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, ყველა დოკუმენტაცია ყოფილიყო ინგლისურად.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია 17:20 საათზე დაუბრუნდა საბჭოს სხდომას.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომაზე წარმოდგენილ ადგილობრივ ექსპერტებს შეფასებისას გამოვლენილი ძირითადი საკითხები განეხილათ.

ადგილობრივი ექსპერტები დაეთანხმნენ საერთაშორისო კოლეგის მიერ ჩამოყალიბებულ შეფასებებსა და საკითხებს.

ასევე, მათი თქმით, არსებობდა რამდენიმე საკითხი, რის დამატებასაც საჭიროება მოითხოვდა.

კერძოდ, როგორც ითქვა, პროგრამაზე სტუდენტის დაშვებისთვის ინგლისური ენის ცოდნის არსებული მოთხოვნა დაწესებულებას B2 დონემდე უნდა გაეზარდა და თუ ეს დაუყოვნებლივ შესაძლებელი არ იყო, დაწესებულებას უნდა უზრუნველყო აკადემიური ინგლისურის შემსწავლელი კურსის ხელმისაწვდომობა პირველივე სემესტრის დასაწყისში.

ასევე, უცხო ქვეყნის სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებული, დეტალური, დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემული უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე.

გარდა ამისა, პროგრამისთვის განკუთვნილი სივრცე უნდა გაზრდილიყო და გაფართოებულიყო, უნდა მომხდარიყო სასწავლო აუდიტორიების ვენტილაცია და გაზრდილიყო საბიბლიოთეკო რესურსიც.

ექსპერტმა შეფასებით, უნდა გაფართოებულიყო არჩევითი საგნების სია და მოცემული ყოფილიყო რაციონალური ახსნა, თუ რატომ მოიცავდა პროგრამა არჩევით

საგნებს და აუცილებელი იყო იმის განმარტება, რა ლოგიკით ინერგებოდა მოდულში არჩევითი საგნები.

უნდა შემოწმებულიყო და შესწორებულიყო დაწესებულების ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რადგან შემოწმების დროს გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი პროფესორი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი იყო და იგივე ადამიანი ხელმძღვანელობდა დიზაინის საერთაშორისო სკოლის არქიტექტურის პროგრამას.

ამასთანავე, უნდა შეფასებულიყო, როგორც სწავლის შედეგი, ისე სწავლების პროცესი. პროგრამის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, უნდა მომხდარიყო საზღვარგარეთიდან ლექტორების მოზიდვა და პროგრამის დანერგვის პროცესში სამრეწველო პარტნიორების ჩართვა.

ექსპერტმა დაასრულა შეფასების იმ ძირითადი ასპექტების საბჭოსთვის გაცნობა, რომელიც მოცემული იყო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჰკითხა საბჭოს წევრებს გაეცნენ თუ არა ექსპერტმა დასკვნას დეტალურად, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ, როგორც თავიდან აღინიშნა, საბჭოს წევრები იცნობდნენ ექსპერტთა შეფასებას.

ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო განიხილავდა მხოლოდ ექსპერტთა შეფასებისას არსებულ პროგრამასა და გარემოებებს და შეფასების შემდგომ გაკეთებულ ცვლილებებზე დაყრდნობა და მათი მემშვეობით გადაწყვეტილების მიღება საბჭოს არ შეეძლო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებს არ განუცხადებიათ, რომ 50-60 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ კონკრეტულ პროგრამაზე და ეს უკანასკნელი არც დოკუმენტალურად იყო სადმე დამოწმებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ასევე არ არსებობდა საგნებს შორის დისბალანსი, რაც პროგრამაში მხატვრული და ტექნიკური საგნების არაპროპორციულად წარმოდგენას გულისხმობდა. მათი განცხადებით, პროგრამაში კურსები დაბალანსებული იყო და ამის დამტკიცება შესაძლებელი იყო მარტივად-პროგრამის უბრალო გადახედვის საფუძველზე.

ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში გაწერილი მექანიზმებით, სტუდენტს ჯერ უნდა ემუშავა ხელმძღვანელთან და შემდეგ შესძლებოდა მუშაობის უფლების მოპოვება. მისი თქმით, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტს არ უნდა მინიჭებოდა არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რადგან არ იყო სწორი 4-წლიანი სწავლის შემდეგ იგი უფლებამოსილი ყოფილიყო არქიტექტურაში დამოუკიდებელი საქმიანობა ეწარმოებინა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, არქიტექტურა არ იყო რეგულირებადი პროფესია, რაც იმას ნიშნავდა, რომ სტუდენტი, რომელიც საბაკალავრო საფეხურს დაასრულებდა უნდა მინიჭებოდა მისთვის განკუთვნილი კვალიფიკაცია. მან იკითხა, რომელ სფეროში ხედავდნენ დაწესებულების წარმომადგენლები პროგრამის კურსდამთავრებულების სამომავლო საქმიანობის ასპარეზს, თუ მას არ ექნებოდა მუშაობის დაწყების უფლება სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ და რა საჭირო იყო

ამ შემთხვევაში პირველი საფეხური, თუ მას არანაირი შედეგი არ ექნებოდა კურსდამთავრებულისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს პარლამენტი მუშაობდა საკითხზე, რომელიც არქიტექტურისთვის რეგულირებადი პროფესიის სტატუსის მინიჭებას გულისხმობდა, შესაბამისად დაწესებულება სამომავლოდ აპირებდა იმგვარი პროგრამის შექმნას, რაც სამომავლო საკანონმდებლო სტანდარტებთან იქნებოდა შესაბამისობაში.

ვინაიდან აკრედიტაციის საბჭოს სხდომა საჯარო იყო და მასზე დასწრების უფლება ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა, სხდომაზე დამსწრე არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ, დავით აბულაძემ საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა სიტყვის უფლება. საბჭოს თავმჯდომარემ გადასცა სიტყვა საკითხით დაინტერესებულ მხარეს.

დავით აბულაძის აზრით, ბაზარს სჭირდებოდა კვალიფიცირებული სპეციალისტები და ის ფაქტი, რომ კანონში ცვლილების შეტანამდე დაწესებულება თვითონ უწესებდა სტანდარტებს კურსდამთავრებულებს, მეტყველებდა მხოლოდ იმაზე, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო როგორც თვითონ კურსდამთავრებულებზე, ასევე ბაზრისთვის პროფესიონალი კადრის აღზრდაზე.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ იკითხა, რა იქნებოდა ამ შემთხვევაში კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო და რას გააკეთებდა ბაკალავრის ხარისხის მქონე ადამიანი, რომელიც სწავლების მეორე, სამაგისტრო, საფეხურზე სწავლის გაგრძელებას არ აპირებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების სფეროები ჩამოთვლილი იყო პროგრამის შიგთავსში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობით, ვინაიდან მხარეების პოზიციები სტუდენტების კონტიგენტზე ორად გაიყო საბჭოს მსვლელობისას.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს თვითონ დაწესებულების წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ პროგრამა აპირებდა 60 სტუდენტის მიღებას, ასევე, მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ვერ ნახეს პროფესორების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა, ესაუბრნენ თუ არა ექსპერტებმა დაწესებულების პროფესურას ინგლისურად, რაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის იმ ნაწილს, რომელსაც ისინი გაესაუბრნენ, დასჭირდა თარჯიმანი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ იყო წარმოდგენილი ენის კომპონენტი პროგრამისა და შემდგომ სილაბუსების წინაპირობებში. რა იყო უცხოური ენის დონე, რომელიც სტუდენტს უნდა დაეკმაყოფილებინა, რათა აღნიშნულ პროგრამაზე გაეგრძელებინა სწავლა და როგორ ხდებოდა ხსენებული დონის შეფასება დაწესებულების მიერ.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობა ინგლისურთან მიმართებაში იყო ენის ყველაზე დაბალი დონე, რაც მათი აზრით, უნდა აწეულიყო, ვინაიდან A1 ცოდნის დონეზე მყოფი სტუდენტი ვერ შეძლებდა პროგრამით გათვალისწინებული ისეთი კომპლექსური საკითხის უცხოურ ენაზე დაძლევას და შესწავლას, როგორც ამას პროგრამა ითვალისწინებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, როგორც ამ კონკრეტულ შეკითხვას ენის დონესთან, ასევე წინამდებარე დასმულ შეკითხვებს და განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღების ენობრივი ბარიერი იყო ინგლისური ენის მინიმუმ B1 + დონეზე ცოდნა, რაც, მათი აზრით, სავსებით საკმარისი იყო მასალის დაძლევისა და გააზრებაში.

ასევე, პროგრამის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა შეფასება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნდა საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილი იყო ის წიგნები, რომლებიც სტუდენტს დასჭირდებოდა აღნიშნულ პროგრამაზე სასწავლებლად. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არსებობდა წიგნების ელექტრონული ვერსიებიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული PDF ვერსიები სხვადასხვა პირატული საიტებიდან იყო გადმოწერილი და დაწესებულება ამ შემთხვევაში საავტორო უფლებას არღვევდა, ვინაიდან მათ ვიზიტის დროს ვერ ნახეს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსი უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო უფლებების სრული დაცვით და შესყიდვით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან უნივერსიტეტი იყო „სკოპუსის“ წევრი დაწესებულება და ისინი ყიდულობდნენ ელექტრონულ წიგნებს, რაც დოკუმენტალურადაც დასტურდებოდა და ამ მხრივ დაწესებულებაში პრობლემა არ იყო.

გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნდა საკმარისად დიდი ფართი და ექსპერტთა შენიშვნა პროგრამისთვის მწირი ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით მარტივად შეიძლებოდა მოგვარებულიყო და გამოსწორებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო აღნიშნული მომენტისათვის განიხილავდა იმას, რა სახის ინფრასტრუქტურა უნდა შეეთავაზებინათ პროგრამის ხელმძღვანელებს სტუდენტებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში არსებული რესურსით და არა იმას, რას გააკეთებდა დაწესებულება მომავალში და ფაქტი, რომ დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დროს პრობლემა გააჩნდა ფართთან დაკავშირებით, შესაძლოა საკმაოდ რთული ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა საბჭოს სხდომაზე ეჩვენებინათ ის სურათები, რომლებიც მათ გამოაგზავნეს ცენტრში ექსპერტთა დასკვნის საპასუხოდ. ფოტოებში ჩანდა, რომ დაწესებულებას ნამდვილად გააჩნდა ფანჯრები, სათანადო აუდიტორიები, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენდა იმ რაოდენობას, რაც საკმარისი იყო პროგრამის განსახორციელებლად. კერძოდ, ექსპერტთა განცხადებით, აუდიტორიების სიმრავლის სადემონსტრაციოდ ერთ ოთახს რამდენიმე მხრიდან ჰქონდა სურათი გადაღებული და გარდა ამისა, თვითონ ფოტოც ადასტურებდა იმას, რომ აღნიშნულ კლასებში 60 სტუდენტის დატევა წარმოუდგენელი იყო.

აღნიშნულზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის, რომ პროგრამის ფარგლებში იგეგმებოდა 60 სტუდენტის მიღება, არ ნიშნავდა იმას, რომ 60-ივე სტუდენტს ერთ დღეს, ერთ კურსზე, ერთ ლექტორთან უნდა ემუშავა საერთო აუდიტორიაში და მოხდებოდა საათობრივი და ჯგუფობრივი გადანაწილება. მან აკრედიტაციის ექსპერტები არაკომპეტენტურობაში და არათანმიმდევრულობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ექსპერტები ცრუობდნენ.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საუბარში დაწესებულების წარმომადგენლები უარყოფდნენ იმ ფაქტს, რომ პროგრამა 60 სტუდენტის მიღებას აპირებდა, ხოლო

ზემოთმოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, მათ ხსენებული 60 სტუდენტის გადანაწილება სხვადასხვა ხერხით ჰქონდათ დაგეგმილი.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მკაფიოდ განესაზღვრა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე.

ამის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტმა მოითხოვა სიტყვა და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, ყოფილიყვნენ თანმიმდევრულები და საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა შეურაცხყოფისგან თავი შეეკავებინათ. მანვე დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამის აღწერაში ნათლად ეწერა, რომ დაწესებულება პროგრამის დახმარებით ამზადებდა კომპეტენტურ სპეციალისტს არქიტექტურაში, შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებული უნდა გამხდარიყო არქიტექტორი. მისთვის გაუგებარი იყო, რატომ უარყოფდნენ დაწესებულების წარმომადგენლები იმას, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული არქიტექტორი გახდებოდა.

ასევე, მისი თქმით, მისაღებ 60 სტუდენტთან დაკავშირებით არსებობდა ექსპერტთა ვიზიტის ამსახველი ჩანაწერი, რომელსაც ცენტრის თანამშრომელი აკეთებდა და მანვე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლები აგრესიულად იყვნენ განწყობილი ცენტრის თანამშრომლის მიმართაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ეკუთვნოდა 60 000 კვადრატული მეტრი ფართი და ფართთან დაკავშირებული პრობლემა არ ქმნიდა პრობლემას.

აკრედიტაციის ექსპერტის თქმით, ის რომ დაწესებულება 60 000 კვადრატულ მეტრ ფართს ფლობდა, არ ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნული სულ ამ პროგრამას მოხმარდებოდა. მათი განცხადებით, ხსენებული საგანმანათლებლო პროგრამა 2 სალექციო ოთახში იყო განთავსებული და არ შეიძლებოდა ოთხი კურსის ბაკალავრის 2 სალექციო კაბინეტში მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რა იყო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ეს იყო არქიტექტორის ბაკალავრი და არა არქიტექტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ყოველივე წარმოადგენდა იურიდიულ ნონსენსს და პროგრამაში პირველი და ძირეული პრობლემა იყო მისანიჭებელ კვალიფიკაციაში. მისი თქმით, თეორიულად, დიპლომში იურისტსაც ეწერა ბაკალავრი იურისპრუდენციაში, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იგი იურისტი არ იყო. შესაბამისად, არქიტექტურის ბაკალავრიც თავისთავად იყო არქიტექტორი.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ ჰკითხა აკრედიტაციის ექსპერტებს, რატომ გააკეთეს ამდენი აქცენტი ინფრასტრუქტურასა და შენობაზე აკრედიტაციის ვიზიტის დროს და რატომ იყო ნაკლები აქცენტი გაკეთებული პროგრამის შინაარსზე.

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით, შეფასების მეოთხე სტანდარტი ავალდებულებდათ მათ აღნიშნული შეფასების გაკეთებას, რაც შეეხებოდა შინაარსს, დასკვნაში ხსენებული საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი და მათ პასუხი გასცეს იმ საკითხებს, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოახდინეს აპელირება.

საბჭოს სხდომაზე 18:25 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:40 საათზე

საბჭოსთან შეთანხმებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

აკრედიტაციის საბჭო მიიჩნევს, რომ ექსპერტთა უარყოფითი შეფასებები, ინგლისური ენის, პროგრამისათვის გამოყოფილი ფართის და შინაარსობრივ ხარვეზებთან მიმართებაში საკმაოდ სერიოზული და გასათვალისწინებელი იყო.

გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო დაეყრდნო ექსპერტთა შეფასებას და სხდომაზე განხილულ საკითხებს.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მდგრადი ურბანისტიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ურბანისტიკის დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. აქვე, საბჭოს სამ წევრს, გიორგი ქვარცხავას, ირინა გოცირიძეს და ელიზბარ ელიზბარაშვილს ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტებს და სთხოვა მათ საბჭოსათვის შეფასების ძირითადი ასპექტები გაეცნოთ.

აკრედიტაციის ექსპერტით განცხადებით პროგრამის სათაურში იკვეთებოდა მცირე ხარვეზი, ვინაიდან ურბანისტიკა-ურბანიზმი ტერმინი ურთიერთგანსხვავებული ტერმინები იყო და აუცილებელი იყო დაზუსტება იმის, რა სახელწოდებით დაიწყებდა პროგრამას მუშაობას.

გარდა ამისა, საჭირო იყო კურიკულუმში ისეთი კურსების დამატება, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამის მედეგობითი ხასიათის საგნების სიმრავლეს და პროგრამას უფრო მდგრადს გახდიდა.

შემდეგი საკითხი ეხებოდა ინგლისური ენის დონეს. აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი C1 დონის სერტიფიკატის აუცილებელი იყო სტუდენტების ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩასარიცხად.

ასევე, მაგისტრის ხარისხი, რომელიც სტუდენტებს მისცემდა საშუალებას ჩარიცხულიყვნენ აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე, უნდა შეზღუდულიყო პროგრამის სპეციალობასთან მიმართებაში. უნდა გაუმჯობესებულიყო ფაკულტეტის სივრცეების ტექნიკური მდგომარეობა.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის უნდა გამოყოფილიყო სამუშაოს და კვლევის ჩასატარებელი სივრცეები. იგივე შენიშვნა ეხებოდა სივრცეების გამოყოფას პროფესორებისთვის, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეხვედროდნენ დოქტორანტურის სტუდენტებს.

ექსპერტების აზრით, აუცილებელი იყო ინგლისური კატალოგისა და ინგლისურენოვანი პერსონალის ყოფნა ბიბლიოთეკებში.

ასევე, აუცილებლობას წარმოადგენდა წერილობითი ფორმით მომზადებულიყო პროგრამაზე ჩარიცხვის გასაუბრების კრიტერიუმები, რაც გასაუბრების პროცესის ზუსტი დოკუმენტირების საშუალებას მისცემდა პროგრამის ხელმძღვანელობას, სტუდენტებს და დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ დანართების სახით ყველა დოკუმენტი გაუზიარეს ცენტრს, იმის დასტურად, რომ ექსპერტების რეკომენდაციების უმრავლესობა უკვე გამოსწორდა, ასევე მათი თქმით, საბჭოს სხდომაზე ჰქონდათ ხელთ არსებული დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტუდენტებისთვის ინფორმაცია უნდა მიწოდებულიყო დეტალურად, გასაგებ ენაზე და დროულად, რისი დარღვევაც, საკმაოდ საგულისყურო იყო.

ასევე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გამოყოფილი თანხა სტუდენტების კვლევის დაფინანსებისთვის, რასაც საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დაამატა, იყო თუ არა აღნიშნულ დარგში კვლევის განხორციელება ძვირადღირებული პროცესი.

აკრედიტაციის ექსპერტმა განმარტა, რომ კვლევის ბიუჯეტის რაოდენობა დამოკიდებული იყო იმ საკითხზე, რასაც სტუდენტი აირჩევდა კონკრეტული მიმართულებიდან საკვლევად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნულ პროგრამაზე განსაზღვრული იყო 5 სტუდენტის მიღება, გარდა ამისა, მათი თქმით, კონკრეტული პროგრამა შემუშავდა იმიტომ, რომ თავდაპირველად ლისაბონის უნივერსიტეტთან კოლაბორაცია იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კურსდამთავრებულს გადასცემოდა ორმაგი დიპლომი, როგორც ქართული მხრიდან, ისე ლისაბონიდან, შესაბამისად, პროგრამა შემუშავებული იყო, ლისაბონის უნივერსიტეტის მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად.

ასევე დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო. კერძოდ, საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით რეკომენდაცია მიიღო დაწესებულებამ და მათი თქმით, ბიბლიოთეკაში დამატებული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის წიგნები.

ასევე, გამოსწორებული იყო ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციული ხარვეზები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ინგლისურ ბროშურა, რომელიც ადასტურებდა, რომ პროგრამის სახელი და სხვადასხვა

უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების სახელწოდებები თანხვედრაში მოდიოდა ერთმანეთთან ტერმინოლოგიურად და აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რა იყო ხვედრითი წილი პროგრამაში არსებული სასწავლო საგნებისა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში სავალდებულო საგნების წილი წარმოადგენდა 60 კრედიტს და დანარჩენი 120 კრედიტი სრულიად დათმობილი იყო კვლევით საქმიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტიდან იყო სავალდებულო, რადგან რიგ უნივერსიტეტებში 60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამები არსებობდა. მისთვის გაუგებარი იყო, რატომ ჰქონდა სასწავლო კომპონენტს ამდენი კრედიტი დათმობილი, მაშინ როდესაც, პროგრამის კრედიტების დიდი ნაწილი დათმობილი უნდა ყოფილიყო კვლევაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობა არ იყო კონკრეტული დარგის სამაგისტრო და საბაკალავრო ხარისხის ქონა, აღნიშნული 60 კრედიტი გამოყოფილი იყო იმ სტუდენტებისთვის, ვინც არ იყო დარგის სპეციალისტი, რათა მათ შესძლებოდათ ამ კომპონენტიდან საგნის უკეთ შესწავლის საშუალება.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტს დამთავრებული ჰქონდა იმავე დარგის სამაგისტრო საფეხური და მან უკვე იცოდა ის საკითხები, რაც აღნიშნული 60 კრედიტიან სასწავლო კომპონენტში ჯდებოდა.

აქვე, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ განსხვავებული დარგის მაგისტრატურა დამთავრებული სტუდენტისთვის, 60 კრედიტი კვლევისთვის და სადოქტორო ნაშრომის დაწერისთვის ძალიან ცოტა იყო და მცირე ხანში შეუძლებელი იყო საკითხის იმ დონეზე შესწავლა, რომ ნაშრომი დაეწერა სტუდენტს და შემდეგ დაეცვა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტის საიტზე არსებობდა საკითხები და ქვედარგები, რომლის შესწავლითაც შეიძლებოდა დაინტერესებულიყო სტუდენტი და შემდეგ დაწესებულება დაეხმარებოდა მას კონკრეტული საკითხის გაღრმავებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი სადოქტორო პროგრამაზე ირიცხებოდა, მას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა კვლევის და მასალის ათვისების და არა თავიდან დაეწყო ყველა სპეციფიკის სწავლა. მისი აზრით, ყოველივე ამის განხორციელება შეუძლებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპლიკანტები პროგრამაზე ჩარიცხვამდე გადიოდნენ გასაუბრებას, ინტერვიუს და კრიტერიუმები, რომლებიც მათ პროგრამაზე მოსახვედრად სჭირდებოდათ წინასწარ იყო განსაზღვრული, შესაბამისად, აპლიკანტს, რომელსაც სურდა პროგრამაზე მოხვედრა, უნდა შეესწავლა დარგი იმ დონეზე, რომ მას შემოთხსენებულ 60 კრედიტში მხოლოდ გაეღრმავებინა ცოდნა. მათი განცხადებით, დილეტანტი სტუდენტი პროგრამაზე ვერ მოხვედებოდა, რადგან იგი ინტერვიუს დროს იქნებოდა დაწუნებული.

ასევე, მათი თქმით, ინტერვიუს პროცესში მოწმდებოდა ჰქონდა თუ არა აპლიკანტს თემატური სტატია გამოქვეყნებული და ჰქონდა თუ არა მას მონაწილეობა მიღებული ისეთ კონფერენციაში, რაც შინაარსობრივად თანხვედრაში მოდიოდა არჩეულ საკვლევ თემასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა მიღების მთავარი კომპონენტი გასაუბრება.



დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იმისათვის, რომ აპლიკანტი არჩეულ ყოფილიყო პროგრამაზე, მას უნდა წარმოედგინა საბუთები, ინგლისური ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი და შემდეგ მოხდებოდა მასთან გასაუბრება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, როდიდან გეგმავდა პროგრამა სტუდენტის მიღებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში ისინი სტუდენტებს შემოდგომის სემესტრიდან მიიღებდნენ.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რამდენი ხელმძღვანელი ჰყავდა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ერთი ადამიანი ხელმძღვანელობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რა დრო დასჭირდებოდა დაწესებულებას ექსპერტთა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ 1 წელი საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ პროგრამაში არსებული ხარვეზები გამოსწორებულიყო.

საბჭოს სხდომაზე 19:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:05 საათზე

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი ურბანისტიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს აზრით, პროგრამაში არსებობდა რიგი ხარვეზები, რომელიც გამოსწორებას საჭიროებდა. იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციის საბჭო მხედველობაში ექსპერტთა

ვიზიტის შემდგომ გამოსწორებულ პროგრამას მხედველობაში ვეღარ მიიღებდა, დასკვნის საფუძველზე აკრედიტაციის მაძიებელ აღნიშნულ პრობლემას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 20:30 საათზე დახურულად გამოცხადა.

თავმჯდომარე:



ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი



მდივანი:

გიორგი ოდომაშვილი

